



კანონის ას განკარგულებათა პრეზრი

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუნიციპალიტეტთა მთავრობისა.

1930 წლის თებერვლის 16.	№ 3 განცხლილება პირველი	ა/ქსტრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.
----------------------------	--	--

ზ ი ნ ა პ რ ე ბ ი:

- მუხ. 19. ამიერკავკასიის თავდაცვა-ავიაჟიმიის ყრილობის მონაწილეთათვის თანამდებობისა და საშუალო საშორის შენრჩენების შესახებ.
- ” 20. საწირმოთ და დაწესებულებათათვის 1929-30 წ. წოვირთ სამუშაოზე ბრუნერის სეცუ-
რანსაცმლის ნაცვლად სხვა ქსოვილის საეცრანსაცმლის გაცემის უფლების მინიჭების შესახებ.
- ” 21. ამიერკავკასიის სტიპენდიატების მუდმივ სამუშაოზე მოთავსების შესახებ.
- ” 22. დღებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თაობი-
რების შესახებ.
- ” 23. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა წორმალური წესდების თაობაზე გა-
მოცემული ა/ქსტრ სახალონ კომისართა საბჭოს 1927 წლის ნოემბრის 26-ის დადგენი-
ლების გაუქმების შესახებ.
- ” 24. სპალეო და სასოფლო საბჭოების ანგარიშებისა და მუშაობის შემოწმების კამპა-
ნიის ჩატარების შესახებ.
- ” 25. ოთხევები საქონლის დაუზოგველ დაკვლასთან და გაყიდვასთან ბრძოლის ღონისძიებათა
შესახებ.
- ” 26. სასოფლო-სამეურნეო მუშათა ზრის წერა-კითხვის უცოდნარობის ლიკიდაციის
შესახებ.
- ” 27. დღებულება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში ანაბარების საგალდებულო
შეტანის შესახებ.
- ” 28. კომერციული ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში
შესტანი სპალეო გადასახალის რაოდენობისა და 1929-30 წლის საკრედიტო ტო გეგმის შეს-
რულებისათვის საბაზო მობილიზაციის შესახებ.
- ” 29. პირუტყვთა დაზღვევის ხაზღაურის მიღების მიზნით ჩატარებილ ბოროტმოქმედებათა
აღმოჩენილიათვის პრემიის გაცემის შესახებ.
- ” 30. პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავთა ზრის სასყიდლის სისწორის შემოწმების
შესახებ.
- ” 31. ფედერატული მინისტრების ტრესტებისა და სამშენებლო შენაერთის მოწყობის
შესახებ.
- ” 32. სახლონ მეურნეობის სპეციალისტთა აღნუსხვის რაგანიზაციის შესახებ.
- ” 33. ა/ქსტრ-ში 1929-30 წ. მრეწველობის კაირალური მშენებლობის გეგმის შესახებ.

დადგენილება № 6 ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარისათვის.

1930 წ. იანვრის 17.

- 19.** ამიერკავკასიის თავდაცვა-ავიაჟიმის ყრილობის მონაწილეთათვის თანამდებობისა და საშუალო საშორის შენარჩუნების შესახებ.

აზერბაიჯანის სსრ-ის, საქართველოს სსრ-ის და სომხეთის სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატებს.

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი აღგენს:

განთავისუფლებულ იქნენ მუშაობისაგან ამიერკავკასიის თავდაცვა-ავიაჟიმის მე-2 ყრილობის მონაწილენი (დელეგატები) და შეენარჩუნოს მათ თანამდებობა (სამშაო) და საშუალო საშორის ყრილობის მუშაობის დროის განმავლობაში, იმ დროის ჩათვლით, რაც დელეგატებისათვის საჭირო იქნება სამგზავროდ, რომ თავისი საცხოვრებელი აღვილიდან ტუილისში ჩამოვიდეს და ტფილისიდან უკანვე დაბრუნდეს.

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარი რაშიმოვი.

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო-
უფლებრივი განყოფილების გამგე იაროსლავსკი.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 16 №-ში 1930 წ. იანვრის 19-ს.

დადგენილება ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარისათვის.

1930 წ. იანვრის 21.

- 20.** საწარმოთა და დაწესებულებათათვის 1929-30 წ. ზოგიერთ სამუშაოზე ბრეზენტის სპეცტანსაცმლის ნაცვლად სხვა ქსოვილის სპეცტანსაცმლის გაცემის უფლების მინიჭების შესახებ.

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი აღგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/ქსფსრ-ის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1929 წლის დეკემბრის 31-ის თარიღისა და 402 № დადგენილება: „საწარმოთა და დაწესებულებათათვის 1929-30 წ. ზოგიერთ სამუშაოზე ბრეზენტის სპეცტანსაცმლის ნაცვლად სხვა ქსოვილის სპეცტანსაცმლის გაცემის უფლების მინიჭების შესახებ“.

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარის მოაღვილე შახსუვარიანი.

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის შრომის

დაცვის განყოფილების გამგის მაგიერ შახნაზაროვი.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 29 №-ში 1930 წ. თებერვლის 4-ს.

**დადგენილება № 208 პ/კს სახლეო ძოშისართა
საბჭოსი.**

21. ამიერკავკასიის სტიპენდიატების მუდმივ სამუშაოზე მოთავსების შესახებ.

„უმაღლესი სასწავლებლებისა, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ინდუსტრიალური და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმების სტუდენტთა კონტრაქტა ტაციისა და მათ მიერ სამსახურის გავლის წესის „შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის მაისის 23-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 85) დასამატებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

1. ამიერკავკასიის საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ დაუკონტრაქტებული სტუდენტები, ამიერკავკასიაში დაბადებულნი, რომელნიც სწავლობენ რსუსტა-ის და უსსრ-ის უმაღლეს სასწავლებლებში, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში და ტეხნიკუმებში და რომელნიც ამიერკავკასიის სახელმწიფო სტიპენდიაზე იმყოფებიან, ვალდებულ არიან აღინუსენ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისართა ტან არსებულ პრაქტიკისა და სამუშაოზე მოთავსების საუწყებათა-შორისო კომისიაში.

2. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისართა ტან არსებული პრაქტიკისა და სამუშაოზე მოთავსების საუწყებათაშორისო კომისია, უმაღლესი სასწავლებლების და ტეხნიკუმების კურსდამთავრებულ პირთა მუდმივ სამუშაოზე მოთავსების დროს,—სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის მაისის 18-ის დადგენილებისა და „უმაღლესი სასწავლებლების და ტეხნიკუმების კურსდამთავრებულ პირთა სამუშაოზე მოთავსების წესის „შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აგვისტოს 5-ის დადგენილების საფუძველზე (სსრ კავშირის კან. კრ. 1929 წ. 34 №-ი, მუხ. 298 და ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 20 №-ი, მუხ. 184)—პირველ რიგში მოთავსებს სამუშაოზე ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიაშვილი

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1930 წ. იანვრის 27.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება აგილქავებასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტიტისა.

22. სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების დებულების დამტკიცების შესახებ.

ის ძირითადი ამოცანების შესრულებისთან დაკავშირებით, რაც სასოფლო საბჭოების წინაშე სდგას კოლექტურ მეურნეობათა სწრაფი განვითარებისა, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მტკიცე შეტევისა და კულა-კომის—როგორც კლასის—ლიკვიდაციის სფეროში, უცილებლად საჭიროა, რათა მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასსები ჩამდებულ იქნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

ამ მიზნის განხორციელების უზრუნველსაყოფად ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსტრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) განახორციელონ სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო სექციების მუშაობის გარდაქმნა საწარმოო თათბირების მსგავსად;

ბ) იმ სასოფლო საბჭოსთან, სადაც სასოფლო-სამეურნეო სექცია არ არ-სებობს, მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი;

გ) ერთი თვის განმავლობაში შეუთანხმონ თვეისი კანონმდებლობა ამა დადგენილებას;

დ) დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ იქნეს შემდეგი დებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების შესახებ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების შესახებ.

1. სასოფლო საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი არის მასიური ორგანიზაცია სოფლის აქტივისა მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთაგან.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი მიზნად ისახავს შეიმუშაოს და განახორციელოს თვეისი რაიონის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებანი (საბჭოთა და კოლექტური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობა, წარმოებთა კომპერიება და სხვ.) და აგრეთვე განახორციელოს ღონისძიებანი თვეისი რაიონის ნათესი სივრცის გაფართოებისა, მოსავლიანობის გადიდებისა, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის როგორც საბჭოთა და კოლექტურ მეურნეობებში, ისე ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობებში.

თვეისი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირმა უნდა განახორციელოს საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივი პოლიტიკის საფუძველზე.

საწარმოო თათბირი სასოფლო საბჭოს მეშვეობით აწარმოებს ბრძოლას ცრუ კოლექტიურ მეურნეობებთან და კულაქობის იმ წინააღმდეგობასთან, რა-საც ისინი უშევენ კოლექტიურ მეურნეობათა შენებლობის განვითარების საქ-მეს; თათბირმა აგრეთვე უნდა გამოიჩინოს ინიციატივა ახალ კოლექტიურ მე-ურნეობათა მოწყობის საქმეში და უნდა ეცალოს, რათა საბჭოს საერთო ხელ-მძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობათა მიმართ გაძლიერებულ იქნეს.

I.

ზოგადი დებულებანი.

2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის შედეგის შედეგიან: სასოფლო საბჭოს და სარეკიზით კომისიის წევრნი და მათი კნიდიდატები, საბ-ჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, ადგილობრივი პირებისა და სხვ. ამხანაგობებისა) და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მომქმედი სხვა სასოფლო-სამეურნეო კომობრატიული ამხანაგობების წარმომადგენელი, სააღილ-მამულო საზოგადოებათა რწმუნებული, აგრო-რწმუნებული, ადგილობრივი აგრონომი, მიწათმომწყობი, ვეტერინარი-ექიმი და სხვა სააღილ-მამულო ორგანოების მო-მუშვე, საგლებო საურთიერთო დაბმარების საზოგადოების კომიტეტის წევრნი და მიწისა და ტყის მუშათა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომად-გენელი.

ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის შედეგის შედეგიან: აქტივისტები კომქავშირელთა, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთაგან, ქალთა სადელებატო კრების შედეგის დელეგატი-ქალები და აგრეთვე მასწავლებელნი, ქოხ-სამითხველლს გამგენი, პოლიტიკური განთლების დარგის მომუშვენი და სოფლის სხვა საზოგადო მომუშვენი.

ის პირი, ვისაც საარჩევნო უფლება ჩამოირთმეული აქვს, სასოფლო-სამეურ-ნეო საწარმოო თათბირის წევრად არ შეიძლება იყოს.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის შედეგის შედეგის ამტკიცებს სა-სოფლო საბჭო.

3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი აირჩიებს თავისი შედეგის ბიუროს 5-7 კაცისაგან (თავმჯდომარე, მდივანი და 3-5 წევრი); ბიურო ამზადებს თათბირის მიერ განსახილებლ საკითხებს და ხელს უწყობს თათბირის გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

მინდვრის მუშაობისაგან თავისუფალ დროს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი იქრიბება თვეში ერთხელ მაინც.

თათბირს შეუძლიან გამოჰყოს ესა თუ ის თავისი წევრი სხვადასხვა გა-მოკლევის მოსახლენად და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მომქმედ ამა თუ იმ ორგანიზაციის მოქმედებისათვის მუდმივ თვალყურის სადევნებლად.

4. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის მიერ შემუშავებული კველა ლორისძიება და მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგნება სა-სოფლო საბჭოს და, დამტკიცების შემდეგ, განხორციელდება როგორც სასოფლო საბჭოს დაღვენილება.

უკეთუ საჭიროა, რომ თათბირის მიერ განზრახული ღონისძიება სასწრა-
ცოდ იქნეს აღსრულებული, იგი შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, სა-
სოფლო საბჭოს თამჯედომარის მიერ დამტკიცების შემდეგ; ხოლო ასეთი ღო-
ნისძიება შემდგომ დამტკიცებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს სხდომაზე.

5. სასოფლო საბჭოს მუშაობის საქართო გეგმის შესაბამისად სასოფლო-
სამეურნეო საწარმოო თათბირი შეიმუშავებს სოფლის მეურნეობის სფეროში
მუშაობის კონკრეტულ გეგმას და, კერძოდ, საგაზაფხულო და საშემოდგომო
სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმას სოფლისათვის.

6. სასოფლო საბჭოს წინადაღებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათ-
ბირი ან მისი ბიურო მისკებს თავის დასკვნას სასოფლო საბჭოს სხდომაზე გან-
სახილველი სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ.

7. თავისი მუშაობის ანგარიშს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი
წარუდგენს სასოფლო საბჭოს სამს თვეში ერთხელ მაინც, ხოლო მოსახლეობას—
სასოფლო საბჭოს მიერ საანგარიშო კამპანიის ჩატარებისათვის დადგენილ გა-
დაზე. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის წევრები თავისი
მუშაობის ანგარიშს პერსონალურად წარუდგენენ იმ ორგანიზაციებს, რომელ-
თაც ისინი აირჩიეს.

II.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის მოქმედების საგანი.

8. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი შეიმუშავებს თავისი რაიონ-
ნის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმას (სასოფლო გეგმას).

თათბირი შეიმუშავებს სასოფლო გეგმას სარაიონო აღმასრულებელი კო-
მიტეტის მიერ დამტკიცებული მთელი რაიონის სოფლის მეურნეობის განვითა-
რების ხუთწლიანი გეგმისა და წლიური გეგმის საფუძველზე და თანაც მხედვე-
ლობაში მიიღებს უწყებული ადგილის ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებს და
გაითვალისწინებს ამ ადგილის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების გან-
ვითარებას.

ყველა თავის ღონისძიებას თათბირი განიხილავს და განხორციელებს მის
მიერ შემუშავებული სასოფლო გეგმის საფუძველზე.

9. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და წარმოებითი კოოპერი-
რების სფეროში—სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი:

ა) ყოველმხრივ ხელს შეუწყობს არსებულ საბჭოთა მეურნეობებს და მოა-
წყობს ფართო საზოგადოებრივ დაბმარებას ახალი საბჭოთა მეურნეობების მშე-
ნებლობისათვის;

ბ) ხელს შეუწყობს კოლექტიური მეურნეობებისა და წარმოებითი კოოპე-
რატიული შენაერთების (სამთესველო, სამანქანო, სამელირაციო და სხვა ამხანაგ.)
ორგანიზაციის და აგრეთვე არსებული კოლექტიური მეურნეობების გადიდ-
რონებას და გარჩიევი წარმოებითი შენაერთების უმაღლესი ფორმის შენაერთებზე
გადაყვანას;

გ) ხელს შეუწყობს მთელი სოფლების ან საადგილმამულო საზოგადოებების ერთიან კოლექტივიზაციას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დახმარებით და კონტრაქტორის მეშვეობით;

(დ) მოისმენს და განიხილავს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მუშაობის გეგმებსა და ანგარიშებს.

10. ღარიბთა და მოჯამაგირეთა დახმარების ორგანიზაციის სფეროში—სა-სოფლო-სამუშაოები საწარმოო თათბირი:

ა) ხელს შეუწყობს ღარიბთა კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის განსაკუთრებული ფონდების შექმნას და ღარიბი მოსახლეობის რაც შეიძლება ფართოდ ჩამდას კოოპერაციაში ამ ფონდების ჩარჯებულების დაუმუშავების ადევნებს კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის ფონდში ანარიცხების სისწორით და თავის დროზე შეტანას და ამ ფონდის პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

ბ) ხელს შეუწყობს ღარიბ და მცირეძალოვნ საშუალო მეურნეობებს კრედიტის მიღების საქმეში როგორც ღარიბთა ფონდიდან, ისე სოფლის მეურნეობის დაქრეციტების საერთო ფონდიდან;

გ) შეიმუშავებს ღონისძიებას ღარიბი მოსახლეობისათვის თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის დროს საზოგადოებრივი დახმარების აღმოსაჩინად;

(დ) გამოაშარავებს საკაბალო გარიგებებსა და მიწის ფარული იჯარით გაცემის შემთხვევებსა და თვალყურს ადევნებს, რათა მოიჯარებ კარგად მოუაროს იჯარით აღტბულ მიწას (მიწის სათანადოდ დამუშავება და აუკილებლად გაპატივება);

ე) ხელს შეუწყობს საგლეხო საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა კომიტეტებსა და სხვა საზოგადოებრივ იორგანიზაციებს მოჯამაგირეთა დახმარების საქმეში (მოჯამაგირეთათვის მიწის მიცემა, კოლექტიურ მეურნეობებში თუ სხვა წარმოებით შენაერთობში და კოპრაციაში მათი ჩამა და სხვ.).

11. თავისი რაიონის სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა, მოსავლიანობის გადიდებისა, ნათესი სიერცის გაფართოებისა და ღარიბი და საშუალო მეურნეობების საერთო წარმატების სფეროში — სასოფლო - სამეურნეო საწარმოო თათბირი:

ა) შეიმუშავებს ღონისძიებათ, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სა-თესლე ფონდებისა, გამშირავებელი, მარცვლის საწმენდი, საგრილობელი და საზოგადო სარგებლობის სხვა პუნქტების შექმნასა და გაფართოებას;

ბ) მიიღებს, სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით, ღონისძიებას ღარიბ და საშუალო მეურნეობების უზრუნველყოფისათვის მანქანებით, იარაღით, მინერალური სასუქით, თესლით და სხვა საწარმოო საშუალებით, და აგრეთვე ქონებულ საწარმოო საშუალებათა უფრო მისანერებინილი და სრული გამოყენებისათვის (მუშა-საქონლის საზიაროდ შებმა და ღარიბთა ჯგუფების მოწყობა როგორც ინდივიდუალური, ისე საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების კუთვნილი ინვენტარისა და მანქანების კოლექტიურად გამოყენებისათვის);

გ) ხელს შეუწყობს კონტრაქტაციის ჩატარებას თავისი რაიონის ფარგლებში და განიხილავს, ამ მიზნით, საკონტრაქტაციოდ დასადებ ხელშეკრულებათ;

ლ) შეიმუშავებს თავისი რაიონისათვის იმ მარტივ სააგრიკულტურო და სამეცნიერელო ლონისძიებათა მინიჭებს, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს სა-ვალდებულო წესით ან შეჯიბრების ხელშექრულობის საფუძველზე, და თვალ-ურს ადვენებს ამ ლონისძიებათა განხორციელებას; შეიმუშავებს სოფლის მეურ-ნეობის მავნებლებთან (მინდერისა, ბალისა და მარცვლის საცავის) ბრძოლის გეგმას;

ე) გამოარყენს აღგილობრივი სასუქის უფრო მიზანშეწონილად გამოყე-ნების საშუალებას (ნაკელის შენახვა, გაირინება და სხვ.);

ვ) ხელს შეუწყობს საადგილმამულო საზოგადოებათა მრავალმინდვრია-ნობაზე გადასცლის საქმეს და განიხილავს ამ გადასცლის კონკრეტულ გეგმას თვითოული სოფლისათვის ან საადგილმამულო საზოგადოებისათვის ცალკე;

ზ) განიხილავს საგლეხო მეურნეობათა დაკრედიტებისა და დაფინანსების საქითხებს და თვალყრის აღვენებს კლასობრივი ხაზის განხორციელებას კრედი-ტების განაწილების საქმეში და გაცემულ სესხთა სათანადოდ გამოყენებას;

თ) შეიმუშავებს ლონისძიებას თეთით მოსახლეობის სახსარის აგრიკულტუ-რულ-წარმოებითი საჭიროებათათვის მოსახმარებლად;

ი) მონაწილეობას მიღლებს იმ ლონისძიებათა კონკრეტული გეგმის შემუ-შავებაში, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მიერ ლარიბ და საშუალო მეურნეობათათვის აგრო-წარმოებითი მომსახურეობის გა-წევის საქმეს;

კ) შეიმუშავებს, კულტურულ-განმანათლებულ სექციასთან და აღგილობრივ აგრონომთან ერთად, იმ ლონისძიებათ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაციას და აგრიკულტურული ცოდნის გა-ცრცელებას საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთებისა, სასოფლო-სამეურნეო წრეებისა, კურსებისა, საუბრებისა, მოსხენებებისა, ექსკურსიებისა, გამოცემებისა და სხვ. მოწყობით, და დახმარებას გაუწევს ამ ლონისძიებათა განხორციელების საქმეს;

ლ) შეიმუშავებს ლონისძიებას ლარიბ და საშუალო მეურნეობათათვის პრე-მიების მისაცემად სოფლის მეურნეობაში თეალსაჩინო გაუმჯობესებათა შეტანი-სათვის;

მ) გამოარყენს, სათანადო გამოყენებისათვის, მიტოვებულ მიწებს და ისეთ მიწებს, რაც მეურნეობრივად გამოყენებული არ არის;

ნ) მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა და კოლექტიურ მეურ-ნეობებსა და საადგილმამულო საზოგადოებებს შორის;

ო) შეიმუშავებს თესვისა და მოსახლის აღების კამპანიის ჩატარების კონ-კრეტულ გეგმას;

პ) გააცნობს სოფლის აქტივსა და მთლად მოსახლეობას მიწის კანონებსა და სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის მთავრობის მიერ მიღებულ ლონის-ძიებებს.

12. მეცნიერებლობის გაუმჯობესების სფეროში — სასოფლო-სამეურნეო სა-წარმოო თათბირი:

ა) ხელს შეუწყობს ყოველგვარი სახის მესაქონლეობის განვითარების სა-ქმეს (მეცნიერება, მელორეობა, მეცნიერება და სხვ.);



ბ) ხელს შეუწყობს კოოპერატიულ ორგანიზაციებს მეცნიერებობის კოლექტივიზაციის საქმეში (საქონლისათვის კოლექტიული ბაკებისა, სამეცნიერო და სამეცნიერო ბაკებისა, სამეცნიერო და სასმელი პუნქტებისა და სხვ. მოწყობა), განსაკუთრებით,—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონში;

გ) შეიმუშავებს სხევადასხევა ღონისძიებას საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისათვის; ხელს შეუწყობს ამ მიზნით სახელმწიფო და კოოპერატიული საგრილო-ბელი პუნქტების არგანიზაციის და სააღვილმამულო საზოგადოებებისა და კოოპერატიული არგანიზაციების მიერ ჯიშინი სანაშენი საქონლის შექმნას;

დ) მიიღებს ღონისძიებას ბალახის თესვის განვითარებისა და ნოუირი საკუები მასალის დამზადებისათვის (სასილოსო კოშების მოწყობა და სხვ.);

ე) მიიღებს ღონისძიებას სავეტერინარო პერსონალის მიერ საგლეხო საქონლისათვის სათანადო მომსახურებების გასაშევად;

ვ) მიიღებს ღონისძიებას ეპიზოოტიისა და გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის; ხელს შეუწყობს საქონლის აცრის არგანიზაციის და თვალყურს ადევნებს საქონლის სასაფლაოებისათვის ადგილის მიჩენისა და მათი სათანადოდ მოვლის საქმეს და სხვ.

13. მიწათმოწყობის სფეროში—სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თაბირი:

ა) მისცემს დასკვნებს მიწათმოწყობის გეგმებისა და პროექტების შესახებ და თვალყურს ადევნებს ამ გეგმებისა და პროექტების სათანადო განხორციელებას;

ბ) დაიცეს ღარიბ და მცირებალოვნი საშუალო მეურნეობათა ინტერესებს მიწათმოწყობის ჩატარების დროს;

გ) ხელს შეუწყობს მელიორაციისა და მორწყვის კონკრეტული გეგმების შემუშავებას და დაბარებას გაუწევს ამ მიზნით სამელიორაციო და სხვა ამზანაგობათა არგანიზაციის საქმეს; ხელს შეუწყობს ველების სათანადო ექსპლოატაციას;

დ) თვალყურს ადევნებს საადგილმამულო საზოგადოებათა მიერ მიწის ფონდების სათანადოდ გამოყენებას და მიიღებს ღონისძიებას ამ მიწების საზოგადოებრივი წესით მოხვინისა და დათესისათვის სათესლე და საკები ფონდების შესაქმნელად;

ე) გადასახლების არგანიზაციის დროს დაიცავს გადასახლებულთა ინტერესებს მათი აყრის ადგილას ქონების ლიკვიდაციისათვის და ხელს შეუწყობს მათ გაერთიანებას სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებად.

14. სატყეო მეურნეობის სფეროში—სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თაბირი:

ა) შეიმუშავებს, მეტყველებთან ერთად, ღონისძიებას ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების წესირად დაყენებისა და ექსპლოატაციისათვის და ხელს შეუწყობს ხე-ტყის დამზადებას;

ბ) შეიმუშავებს და განიხილავს ღონისძიებას ტყის გაშენებისათვის და ტყის-კაფვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

გ) ხელს შეუწყობს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვის არგანიზაციისა და დაეხმარება სასოფლო საბჭოს და სატყეო არგანიზებს ტყის-კაფვისა და ტყის ხარისხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

15. სოფლებსა და კოლექტიურ მეურნეობებში აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობას გაუწივენ უშუალოდ განსაკუთრებული აგრორწმუნებულნი.

აგრორწმუნებულთ აარჩევენ სოფლის საერთო კრება და კოლექტიურ მეურნეობათა და სხვა კომობრატიულ ორგანიზაციათა წევრები.

აგრორწმუნებულნი მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თაბირის უშუალო ხელმძღვანელობით და ადგილობრივი აგრონომის მეთვალყურეობით; თავისი მუშაობის ანგარიშს ისინი უდგენენ სასოფლო საბჭოს და მოქმედობენ მათ შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. იანვრის 30.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 215 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

23. „სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამზანაგობათა ნორმალური წესდების თაობაზე“ გამოცემული ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ნოემბრის 26-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ქვედა საკრედიტო კომობრატიული ქსელის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით,—თანახმად „სასოფლო-სამეურნეო კომობრაციისა და მისი მუშაობის შესხებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 18-ის დადგენილებისა (სსრ კავშირის კან. კრ. 1929 წ. 61 №-ი, მუხ. 565),—ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის ნოემბრის 26-ს დამტკიცებული (ა/ქსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 განყოფ. 1-ლი №-ი, მუხ. 1 და 1928 წ. მე-2 განყოფ. მე-3 №-ი, მუხ. 5) სასოფლო-სამეურნეო ამზანაგობათა ნორმალური წესდება გაუქმებულ იქნება.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიაშვილი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1903 წ. თებერვლის 1.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამინისტრაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

24. საქალაქო და სასოფლო საბჭოების ანგარიშებისა და მათი მუშაობის შემოწმების კამპანიის ჩატარების შესახებ.

ამინისტრაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

წინადაღება მიეცეს ა/ქსფს-ის შედგენილობაში შემთავალი რესტუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ჩატარონ საქალაქო და სასოფლო საბჭოების ანგარიშებისა და მათი მუშაობის შემოწმების კამპანია შემდეგ ძროთად დობულებათა საფუძვლზე.

ანგარიშებისა და შემოწმების კამპანია უნდა ჩატარდეს იმ თვალსაზრისით, რომ შემოწმებულ იქნეს საბჭოების მოთხოვნა მუშაობა, გამოირკვეს, თუ რა მონაცილეობას იღებენ და რა როლს თამაშობენ საბჭოები სრულიად საკავშირო საბჭოთა მე-5 ყრილობისა და ამინისტრაციის საბჭოთა მე-5 ყრილობის მიერ დამტკიცებული სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში და როგორ ანხორციელებენ ისინი საბჭოთა ხელისუფლების გენერალურ ხაზს სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა, ქალაქის და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ მტკიცე შეტევისა და კულაკობის—როგორც კლასის—ლიკვიდაციის სფეროში.

ანგარიშებისა და შემოწმების კამპანიამ უნდა გამოარკვიოს, თავისი სოციალური შედგენილობის მიხედვით, რომელ ადგილობრივ საბჭოს და რამდენად არ შესწევს უნარი გადასწყიოტოს მის წინაშე მდგარი ამოცანები, განსაკუთრებით—კოლმეურნეობათა მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში.

ყველა ის სასოფლო საბჭო, რომელმაც აღნიშნულ საქმეში თავისი ამოცანები ვერ სძლია, რომელიც სათავეში ვერ ჩაუდგა გლეხობის ფართო მასსების მოძრაობას კოლექტივიზაციისაკენ და ვერ გამოიჩინა ამ მოძრაობაში თაოსნობა და სიმტკიცე და ვერ უზრუნველყო სწორი კლასობრივი ხაზი კულაკობის—როგორც კლასის—ლიკვიდაციისათვის წარმოებულ ბრძოლაში, ყველა ასეთი სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარებას რომ კუდში მისდევს და იფერხებს მას, ანგარიშებისა და შემოწმების კამპანიის შედეგად ახლად უნდა იქნეს არჩეული და შეიცვალოს ისეთი საბჭოთა, რომელშიაც პროლეტარული ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილი იქნება.

აღნიშნულ კამპანიაში მშრომელთა ფართო მასსები შეამოწმებენ აგრეთვე, თუ რამდენად შეასრულეს საბჭოებმა წარსულ საარჩევნო კამპანიაში ამომრჩევლების მიერ მიცემული განაწესი და რამდენად შრომაუნარიიანია ესა თუ ის ცალგედებულატი, ხოლო, თუ საჭირო იქნება, შესცვლიან იმ დეპუტატებს, რომელთაც ამომრჩევლების ნდობა ვერ გამართლებს.

ანგარიშებისა და შემოწმების კამპანიის დროს საბჭოს ყველა დეპუტატმა უნდა წარუდგინოს ანგარიში თავის საარჩევნო უბანს და აგრეთვე საბჭოს მოხსენებასთან ერთად მოსმენილ უნდა იქნეს სარევიზიო კამისიის თანამოსხენებაც.

საბჭოების მუშაობის მასსიური შემოწმების ფორმის სახით შემოლებულ უნდა იქნეს პრაქტიკაში სოცლად მუშათა ბრიგადებისა, მსუბუქი კავალერიის რაზმებისა და საქალაქო საბჭოს წევრების გაგზავნა სასოფლო საბჭოების მუშაობის შესამოწმებლად და სხვ.

ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიამ კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს მუშათა, მოჯამაგირეთა და ორიბოთა ბროკი საშუალო გლეხობასთან, უფრო მძლავრად უნდა შეამტკიდოს ისინი საბჭოების გარშემო და მთელი მათი ყურადღება უნდა მიაკიოს იქითევნ, რომ ჩეარის ტემპით განხორციელდეს საბჭოთა ხელისუფლების გენერალური ხაზი—სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სწრაფი განვითარება, კულტურის—როგორც კლასის—ლიკენიდაცია და კველა იმ სიძნელის გადალახეა, რაც სოციალისტურ მშენებლობას წინ ელგება.

საქალაქო და სასოფლო საბჭოები ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის ჩატარების მსვლელობაში, დაუყრდნობიან-ჩა მუშათა, მოჯამაგირეთა, ორიბოთა და საშუალო გლეხთა ფართო ფენების გაძლიერებულ აქტივობას, განამტკიცებენ თვისის მიღწევებს საბჭოთა მუშაობაში; მათ უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებან ამომჩენილი კველა ნაკლის დასაძლევად, უნდა გარდაქმნან თვისის მუშაობის მეთავდები და ფორმები, რათა წარმატებით განხორციელდეს საბჭოების წინაშე მდგარი ამოაცები, განმტკიცდეს არსებული საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი და კიდევ უფრო გაიშალოს სოფლის კოლექტივიზაცია, გაუმჯობესდეს კოლექტიურ მეურნეობათა მოსახლეობისათვის მომსახურეობის გაწევა, გაძლიერდეს სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობათა მიმართ და მტკიცედ განხორციელდეს საგაზაფხულო თესვის კამპანია ამ საქმეში შშრომელთა ფართო ფენების მაქსიმალური ჩამოთ.

ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული პრესაში (გაზეთა, კედლის გაზეთი და რადიო) ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის ჩატარებისათან დაკავშირებული საკითხები.

ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის ჩატარებისათვის საჭირო მოსამზადებელ ღონისძიებათა განხორციელება დაწყებულ უნდა იქნეს დაუყონენებლივ და კამპანია ისეთი ანგარიშით უნდა დაიწყოს, რომ იგი დამთავრდეს არა უგვიანეს ამა წლის მარტის 15-ისა.

ხმარებულ ღონისძიებათა და კამპანიის გეგმისა და მსვლელობის შესახებ რეგულიარულად უნდა ეცნობოს ხოლმე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკარა.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

**დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსერ სახალხო კომისართა
საპოლის.**

**25. ოთხფეხი საქონლის დაუზოგველ დაკვლასთან და გაყიდვას-
თან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.**

ლარიბთა და საშუალო გლეხთა მასსების ფართო მოძრაობას, რაც მიმართულია იქითკენ, რომ ინდივიდუალური მეურნეობა გრძელიერებას შესვილ განსაზღვეობულ წარმოებად, წინ ელობება სოფლის კულურული ელემენტების მძაფრი წინააღმდეგია. კოლექტურ მეურნეობათა ორგანიზაციის ჩაშლის ერთ-ერთ მეთოდს, რასაც აღნიშული ელემენტები მიმართავენ, წარმოადგენს მუშა და საყოლი საქონლის დაკვლა და გაყიდვა და აგრეთვე ამისათვის შეგულიანება ცალკეულ ღარიბ და საშუალო მეურნეობებისა, რომელიც შედინ კოლექტურ მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენარჩუნებში. ამავე დროს აღნიშული საქონლის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახლად მოწყობილ კოლექტურ მეურნეობათათვის. კერძოდ, მუშა-საქონელმა, რაյო კოლექტივიზაციის რაიონების ტრაქტორებით მომარაგება საქართვის არ არის, მექანიკური საწვევი ძალის მაგიერობა უნდა გასწიოს კოლექტურ მეურნეობებში.

აღნიშული მავნებლობითი მოქმედების აღსაკვთად და „ოთხფეხი საქონლის დაუზოგველ დაკვლასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის იანვრის 16-ის დადგენილების განსავითარებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსერ სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

1. წინადადება მიეცის ა/კსერ შედეგნილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეავსონ სისხლის სამართლის კოდექსი მუხლით, სადაც გათვალისწინებული იქნება ოთხფეხი საქონლის დაუზოგველი დაკვლა და მისი განხრას დაშავება და ამისათვის სხვების წაქეზება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ჩაშლისა და მისი წარმატების დაბრკოლების მიზნით, და დააწესონ სოციალისტური დაცვის ღონისძიება, რაც განსაზღვრულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით „ოთხფეხი საქონლის დაუზოგველ დაკვლასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

2. ოთხფეხი საქონლის დაუზოგველ დაკვლასთან და მის გაყიდვასთან ბრძოლის დროებითი ღონისძიების სახით აეკრძალოს საგლეხო მეურნეობათ ოთხფეხი საქონლის დაკვლა და გაყიდვა ოვითეულ ცალკე შემთხვევაში სასოფლო საბჭოს სპეციალური ნებართვის გარეშე.

3. ოთხფეხი საქონლის დაკვლისა ან გაყიდვისათვის ნებართვის მიცემის დროს სასოფლო საბჭომ ზედმიწევნით უნდა გამოარევოს განმცხადებელის სოციალურ-ქონებრივი მდგომარეობა, საქონლის დაკვლის თუ გაყიდვის მიზეზი და ნებართვა უნდა მისცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს გამოწვეულია

ნამდგილი საჭიროებით და უკეთუ დასაკალავად თუ გასაყიდად დანიშნული ოთხფეხი საქონელი არ მიეკუთვნება ჯიშიან მასალას, სადედე შედგენილობას, სანაშენო საქონელს ან მოზარდ საქონელს, რომელიც გამოსადევია ჯოგის რემონტისათვის.

4. საადგილმამულო საზოგადოებათა რწმუნებული და აგრეთვე აგრორწმუნებული და ზოორწმუნებული ვალდებულ არიან თვალყური აღენონ მოხვეხი საქონლის დაკვლისა და გაყიდვის წესების განხორციელებას და ყველა მათ მიერ აღმოჩენილი შემთხვევა ამ წესების დარღვევისა და აგრეთვე თოხფეხი საქონლის ფარულიდ დაკვლისა თუ გაყიდვისა დაუყოვნებლივ აცნობონ სასოფლო საბჭოს სათანადო ლონისძიების მისაღებად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

5. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისა დაეკისროს პირადთ სასოფლო საბჭოების თავმჯდომრეთ.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს უზრუნველყონ, რათა რესპუბლიკანური საკოლექტივო-სამეურნეო ცენტრებისა, საადგილმამულო ორგანოებისა და სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის ორგანიზაციების მონაწილეობით და აგრეთვე მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ჩამით, ჩატარებულ იქნეს სოფულად, განსაკუთრებით მასიური კოლექტივიზაციის რაიონებში, ფართო ახსნა-განმარტებითა კამპანია იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ლარიბი და საშუალო გლეხის მეურნეობამ კოლექტიურ მეურნეობაში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენარჩოში შესვლის დროს იწყოს მუშა საქონლის და საყოლი თოხფეხი საქონლის გაყიდვა ან დაუზოგველი დაკვლა. აღნიშნული კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს იმ გარემოებას, რომ ლარიბთა და საშუალო გლეხთა ფართო მასიებს განემარტოს, თუ რა ზიანი მოაქვს უშუალოდ მათთვის თოხფეხი საქონლის ამგვარ გაყიდვას და დაკვლას.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკოლექტივო-სამეურნეო ცენტრებს განხორციელონ შემდეგი ლონისძიებანი:

ა) უარი უთხრან კოლექტიურ მეურნეობაში წერად მიღებაზე იმ პირთ, რომელიც კოლექტიურ მეურნეობაში შესვლადე გამჟიდიან და დაუზოგველად დაკლავენ თავის მუშა თუ საყოლ თოხფეხ საქონელს;

ბ) გამორიცხონ კოლექტიური მეურნეობის შედგენილობიდან ის წევრნი, რომელიც კოლექტიური მეურნეობის ნებადაურთველად დაკლავენ ან გაყიდიან მათ კუთვნილ მუშა თუ საყოლ საქონელს, რაც კოლექტიური მეურნეობის განსაზოგადოებულ ან განუყოფელ კაპიტალში შეტანილი არ არის;

გ) ნება დართონ, რათა კოლექტიურ მეურნეობაში მიღებულ იქნენ წევრებად და მის შედგენილობაში დარჩენენ ის პირნი, ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულთავან, რომელიც აღადგენენ თავისი მუშა და საყოლი საქონლის წინანდელ რაოდენობას ან გადასცემნ კოლექტიურ მეურნეობას მათ მიერ გაყიდული თოხფეხი საქონლის თანაბარი ღირებულების შენატანს.

8. უფლება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს ვადამდე გადაახდევინონ მიღებული სესხით შემდგარი მთელი დავილიანება იმ მეურნეობათ, რომელიც დაუზოგველად ჰქონდენ ან ჰყიდიან მუშა თუ საყოლ საქონელს და აგრეთვე მისცენ პასუხისმგებაში სისხლის სამართლის წესით სესხის არაგადამხდელი, როდესაც ამას იგი განსაკუთრებული ბოროტი განზრახვით სჩაღის.

9. დაეკისროს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემას:

ა) აწარმოოს ახლად მოწყობილ კოლექტურ მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენაქრთოა დაკრედიტება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთ დაცულ იქნება მე-7 მუხლის ყველა მოთხოვნა;

ბ) შეუწყიტოს კრედიტის მიტება და ვადამდე გადაახდევვნოს სესხი იმ კოლექტურ მეურნეობას და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენაქრთს, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს თავის წევრთა ქონების გაყიდვას ან იყიდის მათგან ოთხველ საქონელს იმ სახსარით, რაც სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათაგან მიუღია.

10. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს ერთი კვირის ვადაშე მიაწოდოს ადგილობრივ ორგანოებს ინსტრუქციები ამა დადგენილების იმ ნაწილის განხორციელებისათვის, რაც სასოფლო-სამეურნეო კრედიტი შეეხება.

11. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს თუ კვირის ვადაშე გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ამა დადგენილების განსავითარებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის შემისახი ა. შავერდოვი.

1930 წ. ოქტომბერის 1.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 213 ბ/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**26. სასოფლო-სამეურნეო მუშათა შორის წერაკითხვის უცოდინა-
რობის ლიკვიდაციის შესახებ.**

„საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის კანონების აღსრულების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის მარტის 4-ის დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრ. 1929 წ. 16 №-ი, მუხ. 138) საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო მუშათა შორის წერაკითხვის უცოდინარობის

ლიკვიდაციისა და მათი კულტურული დონის ამაღლების მიზნით, ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღეცნ:

1. დაევალოს დაქირავებელთ, რათა მათთან დაქირავებით მომუშავე სასოფლო-სამეურნეო მუშებს და მუშა-ქალებს, პირველ რიგში კი მოხარდებს— მისცენ შესაძლებლობა იარონ წერა-კითხეის უკოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში და პუნქტებში და გაანთავისუფლონ ისინი მუშაობისაგან სწავლისა- თვის საჭირო დროის განმავლობაში.

2. მეცადინეობის დრო წერაკითხეის უკოდინარობის სალიკვიდაციო სკო- ლასა და პუნქტში დაწესდება იმ ცნობის მიხედვით, რასაც გასცემს სახალხო განათლების განყოფილება ან მისი ოწმუნებული; ამასთანავე, მეცადინეობა სკო- ლასა და პუნქტში აუცილებლად საღმომობით უნდა სწარმოებდეს.

3. ამ დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ განთავისუფლებულ სა- სოფლო-სამეურნეო მუშას და მუშა-ქალს შეენარჩუნება საშოგარი იმ დროისა- თვის, რა დროსაც იგი წერაკითხეის უკოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში თუ პუნქტში დაჰყოფს.

4. თვალყურის დენება ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისრება შრომის თრიგანოებს და აღილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1930 წ. ოქტომბერის 5.
ტფილისი-სასახლე.

დაბრენილება აგიტრჩავისაიის ცენტრალური აღმასრულებელი გრანატების გელი კომიტეტისა და ა/ქსცსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

27. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში ანაბარების სავალდებულო შეტანის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სა- ხალხო კომისართა საბჭო აღეცნ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება სასოფლო-სამეურნეო საკრე- დიტო ამხანაგობებში ანაბარების სავალდებულო შეტანის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე შ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. ოქტომბერის 5.
ტფილისი-სასახლე.

დებულება სასოფლო-საგაურეო საკრედიტო ამხანაგო- ბიგზი ანაგარების სავალდებულო შეტანის შესახებ.

1. იმ მიზნით, რათა ბრძოლა გაეწიოს სოფლის კულაკურ ელემენტებს და ზედა-ფენებს, რომელიც ერიდებიან მონაწილეობა მიიღონ თავისი სახსარით სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად საქრო ლონისძიებათა განხორცილებაში და რათა გლეხთა მოსახლეობის ყველა დანარჩენი ფენების სახსარი გამოყენებულ იქნეს იმავე ლონისძიებათა გატარებისათვის, სასოფლო ყრილობა და კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრება გამოიტანს გადაწყვეტილებას სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში დასაბრუნებელი ანაბარების სავალდებულო შეტანის შესახებ.

2. კოლექტიური მეურნეობის წევრი შეიტანეს სავალდებულო ანაბარს ამ კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად.

3. წინადაღება ანაბარების დაწესების შესახებ იმ მოსახლეობისათვის, რომელიც კოლექტიურ მეურნეობაში არ შედის, გადაეცამა განსახილველად სასოფლო ყრილობას სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობისა და კოლექტიური მეურნეობების მიერ მას შემდეგ, რაც მას წინაშეარ დამუშავებს სასოფლო საბჭო ღარებთა ჯგუფების მონაწილეობით. ყრილობის მოწვევა დაკისრება სასოფლო საბჭოს.

4. სასოფლო საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილება სასოფლო ყრილობისა დასაბრუნებელი ანაბარების შეტანის შესახებ სავალდებულო მთელი მოსახლეობისათვის, რომელიც კოლექტიურ მეურნეობაში არ შედის, რომელიც კოლექტიურ მეურნეობაში არ შედის.

5. სავალდებულო ანაბარის როოდენობა იმ მეურნეობათათვის, რომელიც კოლექტიურ მეურნეობაში არ შედიან, გამოიანგარიშება პროგრესიონის პრინციპზე თვითეული მეურნეობის შემოსავლიანობის მიხედვით, რაც განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისათვის,— შემდეგი წესი-სამებრ.

1) ყველა მეურნეობისათვის, გარდა ინდივიდუალური წესით დაბეგრილი მეურნეობისა:

იმ მეურნეობისათვის, რომელსაც აქვს საერთო შემოსავლი:

ა)	150 მან.-დე	· · · · ·	3 მან.
ბ)	150 მან.-დან 300 მან.-მდე	· · · · ·	6 "
გ)	300 მან.-დან 500 მან.-მდე	· · · · ·	15 "
დ)	500 მან.-დან 1000 მან.-მდე	· · · · ·	50 "
ე)	1000 მან. მეტი	· · · · ·	300 "

2) ანაბარის რაოდენობას ინდივიდუალური წესით დაბეგრილ მეურნეობათათვის განსაზღვრავს სასოფლო ყრილობა, ხოლო ეს რაოდენობა ორჯერ მაინც უნდა ალემატებოდეს იმ საანაბარო ნორმას, რაც დადგენილია სათანადო შემოსავლიანობის მეონე დანარჩენ მეურნეობათათვის.

6. მე-5 მუხლში ჩიმოთვლილი მეურნეობანი სავალდებულო ანაბარს შეიტანეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში შემდეგი წისით:

1-ըստ ջցուցու ՝ա՛ Ըստ ՝մէ՛: Օրա պահանջես 1930 թվուն մարտիս 1-սա — սացա-լլունդուն անածրուն 50% Ըստ պահանջես 1930 թվուն ապրիլիս 1-սա — քանար-ին 50%:

1-ըստ ջցուցու ՝մէ՛ ՝մէ՛ Ըստ ՝մէ՛: Սացալլունդուն անածրուն մտյուլ 100% — օրա պահանջես 15 դրուսա օմ դրուսա, և առ դրուսա սասուլլուն պրոլուն մուլյուն դա-ցցնունդուն սացալլունդուն անածրուն Շըրտանուն Շըսանցեց.

Ցանկ 2 ջցուցու: Սացալլունդուն անածրուն մտյուլ 100% — օրա պահանջես 10 դրուսա օմացու դրուսա.

7. օմ կոլլեյքտիուրուն մեյրենցուն թյարտուուն, սարաց սաֆարմուն սաֆյա-լլուն սացեստուն շանսանցագունդուն օր օրուն, սացալլունդուն անածրուն հառ-ցենցուն գանսանցունդուն օմ թյարտուն հրուուր առացանսանցագունդուն յունենուսա, օսյ կոլլեյքտիուր մեյրենցուն մոնաշունդուն մուլյուն Շըմուսացուն սայրուու-տանենուն Շըսանմասուն, օմ մեյրենցուն մատուուն ժագցենուն նորմեցուն մուեցուու, հոմելոնց կոլլեյքտիուր մեյրենցուն օր Շըգուն.

Կոլլեյքտիուրուն մեյրենցուն անածրուն Շըսունց 1930 թվուն մարտիս 1-սա — 50% Ըստ պահանջես 1930 թվուն ապրիլիս 1-սա — քանարին 50%:

8. զագանց Շըշրանցուն տանես անածրուն շանսանցուն զագանցունդուն յունդա օյնեց սա-սուլլուն սանցուն մոյր սասուլլուն-սամեյրենց շանսանցուն նարհենու շանսանցուն նեցուն լունդունդուն դա-ցցնուն Շըսունմեցեց.

9. սացալլունդուն անածրուն Շըունց սասուլլուն պրոլուն մոյր Ըստ պահանջե-լլունդուն մեյրենցուն թյարտու սայրուու շրբեցուն դա-ցցենուն անածրուն Շըմ-քան մտյուլ մոսանցուն մուլյուն դա-ցցենդուն տանածան զագանց. յս զագանց օր Շըու-մեցուն որ Շըլունշանց նալուն լու եւր Շըլունշանց մերու ոյուն.

10. սասուլլուն-սամեյրենց սայրեգուն ամենացուն շանսանցուն սացալլունդուն անածրուն շրուցենց օր սպայերուն 6% -սա թլունրաւ.

11. սացալլունդուն անածրուն Շըսունց մեանածարեցու մոյր սասուլլուն-սամե-յրենց սայրեգուն ամենացուն մատ ցալցուն անցանունչեց; մեանածրուն մոյրումա սատանացու սաեցուն դոյցունց անածրուն մուլյուն Շըսանցեց.

12. սասուլլուն-սամեյրենց սայրեգուն ամենացուն սացալլունդուն անած-րուն Շըսայրեցու դա-ցուն մուլյուն սասուլլուն-սամեյրենց սաֆարմուն ամենացուն մուլյուն; յս պահանցենցուն զալլունդուն օրուան Շըրդուուն անածրուն մտլաւ համարուն սասուլլուն-սամեյրենց սայրեգուն ամենացուն առ սասուլլուն-սամեյրենց կրեգուն սեցա լունդուն ալ-նունցուն զացցուն.

13. պահանց սասուլլուն-սամեյրենց սայրեգուն ամենացուն սացալլունդուն անած-րուն Շըսայրեցու դա-ցուն մուլյուն սասուլլուն-սամեյրենց սաֆարմուն ամենացուն մուլյուն; յս պահանցենցուն զալլունդուն օրուան Շըրդուուն անածրուն մտլաւ համարուն սասուլլուն-սամեյրենց սայրեգուն ամենացուն առ սասուլլուն-սամեյրենց կրեգուն սեցա լունդուն ալ-նունցուն զացցուն.

14. սացալլունդուն անածրուն դա-ձրուն մուլյուն օմ զագուն շանսանցուն Շըմուն Շըմուն օգո Շըրտանուն սասուլլուն-սամեյրենց սայրեգուն ամենացուն պահանցուն պահանցուն օմ պահանցուն սասուլլուն-սամեյրենց ծանյուն.

15. სასოფლო-სამეცნიერო საკრედიტო ამხანაგობანი ვალდებულ არიან მთლად მიღებულ სავალდებულო ანაბარებს თავი მოუყარონ რესპულიკის სასოფლო სამეცნიერო ბანქში არა უფიინეს 1930 წ. მარტის 5-სა და აპრილის 5-სა.

16. სასოფლო-სამეცნიერო საკრედიტო ამხანაგობათაგან სავალდებულო ანაბარების ანგარიშში მიღებულ თანხას რესპულიკანური სასოფლო-სამეცნიერო ბანკი ჩარიცხავს ამ ამხანაგობათა ანაბარად იმავე ვადით, რა ვადითაც იგი მიღებულია თვით ამხანაგობის მიერ და ვადაიხდის პროცენტს არა უმცირეს 5%—ისა შემცირად.

17. პასუხისმგებლობა სავალდებულო ანაბარების შესაკრეფად საჭირო ლონისძიებათა განხორციელებისათვის დაეკისრება:

ა) კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებულ მოსახლეობაში ანაბარების შეკრეფის მიმართ — რესპულიკანურ საკოლექტივო-სამეცნიერო ცენტრებს;

ბ) საწარმო სასოფლო-სამეცნიერო ამხანაგობებად გაერთიანებულ მოსახლეობაში ანაბარების შეკრეფის მიმართ — სასოფლო-სამეცნიერო კომპერაციის სათანადო კავშირებს და სასოფლო საბჭოებს;

გ) დანარჩენ მოსახლეობაში ანაბარების შეკრეფის მიმართ — სასოფლო-სამეცნიერო საკრედიტო ამხანაგობებს და სასოფლო საბჭოებს.

დადგენილება ამიტობაზე სის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსჭსრ სახალხო კომისართა საბჭოები.

28. კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეცნიერო საკრედიტო ამხანაგობებში შესაგანი საპაიო ვადასახადის რაოდენობისა და 1929/30 წლის საკრედიტო გეგმის შესრულებისათვის სახსართა მობილიზაციის შესახებ.

სოფლის მეურნეობის სარეკონსტრუქციო პროიოდის პირობებში, რასაც ახასიათებს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის უაღრესად სწრაფი ზრდა და ამასთან დაკავშირებული განსაზოგადოება ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა სახსარისის, სასოფლო-სამეცნიერო საკრედიტო სისტემის უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს სახსართა გარდამწილება სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორის განსავითარებლად; თანაც ამ მიზნით მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნეს ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა სახსარი.

მისდამხედვით და 1929-30 წლის საკრედიტო გეგმის სათანადოდ აღსრულების მიზნით — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსჭსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენებ:

1. დაწესებულ იქნეს სასოფლო-სამეცნიერო საწარმოო ამხანაგობათა და კოლექტიურ მეურნეობათა შემდეგი მონაწილეობა სასოფლო-სამეცნიერო საკრედიტო ამხანაგობების საპაიო კაპიტალში:

ა) სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობა შეიტანს სასოფლო-სამეურნეო საკურედიტო ამხანაგობის საპაიო კაპიტალში თავის წევრთა შორის ფაქტურად შეგროვილი საპაიო შენატანის ოცდახუთ პროცენტს;

ბ) კოლექტური მეურნეობა შეიტანს ერთს პროცენტს იმ თანხისას, რასაც შეაღეს ამ მეურნეობის მიერ შეგროვილი ყველა საპაიო და განუყოფელი კაპიტალი, გარდა დაუგრუნველელი ხარჯებისთვის დანიშნული სპეციალური კაპიტალებისა და ფონდებისა (კულტონდი, საპრემიო ფონდი და სხვ.).

2. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის 1929-30 წლის საკურედიტო გეგმის საშემოსავლო ნაწილის აღსასრულებლად 5.480.000 მანეთის ფარგლებში, დაწესებულ იქნეს შემდეგი საკონტროლო ციფრები ა/კსტსრ-ის სასოფლო-საკურედიტო ამხანაგობებში სახსართა მოხვეჭისა:

ა) სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობათა და კოლექტურ მეურნეობათა საპაიო შენატანი სისოფლო-სამეურნეო საკურედიტო ახანაგობებში— 1.170.000 მან.;

ბ) გაცემა იმ დასაბრუნებელი თანხებიდან, რაც სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მიერ საკუთარი სახსარის საზით მოთავსებულია სესხად— 780.000 მან.;

გ) დანარჩენი თანხა— 3.530.000 მანეთი მოხვეჭილ უნდა იქნეს მოსახლეობის (როგორც კოლექტურ მეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო კომპერატულ ორგანოთა წევრების, ისე იმ მოქალაქეების, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციათა წევრები არ არიან) სავალდებულო ანაბარების სახით; ამათანავე სავალდებულო ანაბარების განაწილება სოციალური ჯგუფების მიხედვით უნდა მოხდეს საგლეხო მეურნეობათა შემოსავლისანობისამებრ, რაც გამოანგარიშებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახილის გადასახდევინებლად, პროგრესიული გადიდებით ცალკეული სოციალური ჯგუფებისთვის;

3. სავალდებულო ანაბარის პროცენტის რაოდენობას განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო საკურედიტო ამხანაგობის წევრთა კრება, ხოლო იგი არ უნდა აღმატებოდეს ექვს პროცენტს წლიურად.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის საკოლექტივო-სამეურნეო საბჭოს აღნიშნული 3.530.000 მანეთის ანგარიშში შეგროვოს ა/კსტსრ-ის კოლექტურ მეურნეობებში არა ნაკლებ 500.000 მანეთისა იმავე სავალდებულო ანაბარების სახით, რომელთა რაოდენობის დიფერენციალის კოლექტურ მეურნეობათა წევრების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრავს კოლექტური მეურნეობების წევრთა კრება. კოლექტურ მეურნეობათა მიერ შეგროვილი თანხა შეტანილ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო საკურედიტო ამხანაგობებში.

დანარჩენი თანხა კი 3.530.000 მანეთიდან, ე. ი. 3.030.000 მანეთი შეგროვილ უნდა იქნეს სავალდებულო ანაბარების წესით იმ მოსახლეობაში, რომელიც კოლექტურ მეურნეობად გაერთიანებული არ არის.

5. აღნიშნული 5.480.000 მანეთი 1930 წლის პარილის 1-დან მოთავდ უნდა შეგროვდეს და მობილი შებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო საკურედიტო ამხანაგობათა მეშვეობით რესპუბლიკუნურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებში.

6. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის საკოლექტივო-სამეურნეო საბჭოს შეიმუშაოს და მიაწოდოს რესპუბლიკანურ საკრედიტო-სამეურნეო ცენტრებს საკონტროლო ციფრები და ინსტრუქციები რესპუბლიკების კოლგეტები მეურნეობებში სავალდებულო ანაბარების წესით სახსართა შეგროვების შესახებ.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის კავშირს და ამიერკავკასიის საკოლექტივო-სამეურნეო საბჭოს შეიმუშაონ და მიაწოდონ რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის კავშირთა კავშირები და საკოლექტივო-სამეურნეო ცენტრებს, კუთვნილებისამებრ, საკონტროლო ციფრები და ინსტრუქციები სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობათა და კოლექტიურ მეურნეობათა საპაიო შენატანის შეგროვების შესახებ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში.

8. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო ბანკს განსაზღვროს რესპუბლიკებისათვის საკონტროლო ციფრები სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მიერ საკუთარი სახსარიდან თანხების დაბანდების შესახებ და აგრძელეთ სავალდებულო ანაბარების წესით სახსართა შეგროვების შესახებ იმ მოსახლეობაში, რომელიც კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებული არ არის.

9. დამტკიცებელ იქნეს „დებტლება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში ანაბარების სავალდებულო შეტანის შესახებ“.

10. დაევალოს ა/ქსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უზრუველყონ ამა დადგენილებაში აღნიშნულ ლონისძიებათა დაუცადებელი განხორციელება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. თებერვლის 5.

ტფილისი—სახალე.

დადგენილება № 214 პ/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

29. პირუტყვთა დაზღვევის საზღაურის მიღების მიზნით ჩადენილ ბოროტმოქმედებათა აღმასრულების პრემიის მიცემის შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რათა მე-3 მეუბლში აღნიშნულ პირთ მიეცეს პრემია, როდესაც ისინი შეატყობინებენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით გათ-

ვალისწინებულ ბოროტმოქმედებას, რაც ჩადენილია სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისაგან მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ცხენისა, აქლემისა და სხვა მსხვილფეხა პირუტყვის სადასაზღვევო საზოაურის მიღების მიზნით; პრემიი გაიცემა სახელმწიფო დაზღვევის სახსარიდან დამაზღვეველის მიერ უკანონოდ მიღებული სადასაზღვევო საზოაურის იმ თანხის ოცდასუთი პროცენტის რაოდენობით, რასაც დამაზღვეველს ფაქტიურად უკანვე დააბრუნებინებენ, ან გასაცემი, ხოლო, ბოროტმოქმედების თავის დროზე შეტყობინების გამო, გადაუსდელი სადასაზღვევო საზოაურის ოცდასუთი პროცენტის რაოდენობით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული პრემიი გაიცემა შეიციფრ დღის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც სახელმწიფო დაზღვევის ორგანომ ფაქტიურად უკანვე დააბრუნებინა დამაზღვეველს მიღებული სადასაზღვევო საზოაური, ხოლო უკეთუ სადასაზღვევო საზღვაური ჯერ კიდევ გაცემული არ იყო, შეიციფრ დღის განმავლობაში იმ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, რომელმაც სცნო, რომ ბოროტმოქმედება ჩადენილია სადასაზღვევო საზოაურის მიღების მიზნით.

3. პრემიის მიღების შულება იქვს ყველას, ვინც სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს ბოროტმოქმედებას შეატყობინებს, უკეთუ იგი მონაწილეობას არ იღებდა დოკუმენტის შედგენაში, ან უკითხ შეტყობინების საფუძველს არ წარმოადგენს ის ცნობა, რაც მიიღო შემტყობინებელმა როგორც თანამდებობის პირმა.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნული ბოროტმოქმედების აღმომჩენი პირის გვარი, თუ იგი მოისურვებს, დაცული იქნება საიდუმლოდ.

5. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგრინდების განსავითარებლად და შესაფარდებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე შ. ელიაზა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1930 წ. თებერვლის 5.

ტურილისი-სასახლე.

დადგენილება № 11 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1930 წლის თებერვლის 8.

30. პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავეთათვის შრომის სახუ-
დლის მიცემის სისწორის შემოწმების შესახებ.

რათა შემოწმებულ იქნეს სისწორე პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავე-
თათვის შრომის სასყიდლის მიცემისა, რაც განსაზღვრულია „პასუხისმგებელ პო-

ლიტერატურ მომუშავეთათვის შრომის სასყიდლის მიცემის „შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1929 წლის დეკემბრის 31-ის თარიღისა და 118 №-ის დადგენილებით, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ქ. ტფილისში მყოფ საერთო-საკავშირო და საამიერკავკასიო მნიშვნელობის ყველა საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, მათი მეთაურების პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ, ამა დადგენილების გამოქვეყნებისათვალის ხოლო არა უგვიანეს 1930 წლის თებერვლის 20-სა, წარუდგინოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს ცნობები იმის შესახებ, თუ ფაქტიურად რა შრომის სასყიდლს იღებენ პასუხისმგებელი პოლიტიკური მომუშავენ.

2. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია და აგრეთვე საერთო-საკავშირო და საამიერკავკასიო მნიშვნელობის საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც ქ. ტფილისის გარედ იმყოფება, ანალოგიურ ცნობებს წარუდგენს ა/კსფსრ შედეგის ლობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს.

3. ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული ცნობები წარდგნილ უნდა იქნეს ორ თარ ცალად შემდეგი ფორმით:

რესპუბლიკა

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდება.

თინამდებობა	ქ. ტფილის დაწესებულება	ფაქტიური სასყიდე				შენიშვნა
		კარგობრივი	მირითადი განაკვეთი	ზედნართი	სულ	

აღმინისტრაციის ხელმოწერა

ა/კსფსრ შრომის სახალხო

კომისარი რაჟიშოვი.

სატარიფო განყოფილების

გამგის თანაშემწერ მუსაშირივი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 34 №-ში 1930 წ. თებერვლის 9-ს.

დადგენილება № 211 პ/კს სახელმწიფო კომისართა საბჭოსი.

31. ფედერატიული მნიშვნელობის ტრესტებისა და სამშენებლო შენაერთის მოწყობის შესახებ.

1. ა/ქსფსრ-ის სამეცნიერო ბაზისის განსამტკიცებლად და ამიერკავკასიის მრეწველობის უმთავრესი დარგებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის გასაძლიერებლად ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოწყობის ფედერატიული მნიშვნელობის შემდეგი ტრესტები და შენაერთი:

1. ამიერკავკასიის საფეიქრო ტრესტი.
2. ამიერკავკასიის ტყე-ქალალიდის ტრესტი.
3. ამიერკავკასიის სამთო-ქიმიური ტრესტი.
4. ამიერკავკასიის ელექტრო-ტრესტი.
5. ამიერკავკასიის სამშენებლო შენაერთი.

2. წინადაღება მიეცეს ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ერთი თვის გადახე განსაზღვროს იმ საწარმოთა კონკრეტული წესია, რომელიც უშეულოდ ფედერატიულ ტრესტებში უნდა შევიდნენ და დამთავროს ამ ტრესტების ორგანიზაციის არა უგვანეს 1930 წლის პარილის 1-სა.

3. წინადაღება მიეცეს ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორი კვირის ვადაზე განსაზღვროს ამიერკავკასიის სამშენებლო შენაერთისა და მის შედგენილობაში შემავალი ორგანიზაციების უფლება-მოვლეობანი და აგრძელებული ურთიერთობისა რესპუბლიკიურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან, ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტთან და რესპუბლიკიურ საპროექტო, მშენებელ და საშენი მასალის მწარმოებელ ორგანიზაციებთან.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის წესით ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მოსთხოვს დასკვნას სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს: ა) საწარმოთა წესდების პროექტებისა და მისი შემდგომი ცვლილებისა, ბ) საპრესკეტივო და წლიური გეგმებისა და აგრძელებულ ციფრობისა, გ) წლიური ანგარიშებისა და წლიური ბალანსებისა და დ) დაფინანსებისა და დაკრედიტების საქრთო გეგმების განხილვის დროს.

5. დაევალოს ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წელიწადში ორგანიზაციის ინფორმაცია ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს სათანადო რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მდგომარეობის შესახებ, ხოლო საკონტროლო ციფრების შედეგნისას წარუდგინოს ეს საკონტროლო ციფრები რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს რესპუბლიკიური მასშტაბით.

6. ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მუშაობის სისტემა ფედერატიული ტრესტებისა და ამიერკავკასიის სამშენებლო შენაერთის მიმართ აგდებულ უნდა იქნეს იმ აუცილებლობის გათვალისწინებით, რომ საჭიროა ამა თუ იმ საწარმოში საქმისწარმოებისა და ანგარიშებისათვის ეროვნული ენები იხმარებოდეს.

7. საძიებლო და სამეცნიერო-საკულტურო მუშაობის გასაძლიერებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ეს მუშაობა თავმოყრილ იქნეს სამეცნიერო-საკულტურო ინსტუტებში, რომელიც უშუალოდ ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ექვემდებარებიან; ამასთანვე, საჭიროა დამყარებულ იქნეს მჭიდრო კონტაქტი კავშირის სამეცნიერო-საკულტურო ინსტუტებთან.

8. საგეოლოგიო-საძიებლო სამუშაოთა განსაკითხარებლად, სამეცნიერო ძალების დაქსაქეცის თავითან ასცილებლად და პირველ რიგში მუშაობის ძირითად ობიექტებზე წარსამართობა—საგეოლოგიო-საძიებლო სამუშაოთა ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და წარმოება თავმოყრილ იქნეს ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ ამიერკავკასიის გეოლოგიურ სამშართველოში.

9. ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეუძლიან გადასცეს სათანადო რესუსტებლივიანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სრულიად ან ნაწილობრივ თავისი უფლება ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამეგებლობაში მყოფი საჭარმოს მმართველობისა განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე, რასაც დაამტკიცებს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო
თავმჯდომარე შ. ელიაგა.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

ტფილისი-სასახლე.

1930 წ. ოქტომბერის 12.

დადგენილება № 12 ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარის ტისა.

1930 წ. ოქტომბერის 13.

32. სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა აღნუსხვის ორგანიზაციის შესახებ.

„სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა აღნუსხვის ორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წლის იანვრის 14-ის დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, რომელი დადგენილებაც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი აღვენს:

1. მოწყოს ა/ქსფსრ-ის ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა პერსონალური აღნუსხვა.

2. აღნუსხვას აწარმოებენ ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების სასტატისტიკო სექტორები; თანაც აღნუსხვის სრულიად და თავის დროზე ჩატარების უზრუნველყოფად, ამ საქ-

მეში ჩამბულ უნდა იქნენ შრომის ინსპექტორთა კამერები, შრომის ბირეები, დაწმუნები—უფლის გამლები პუნქტებით, საკორესპონდენცია პუნქტები, პროფესიონალური ორგანიზაციები და სხვა ორგანოები.

ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომი-სარიატებს უფლება ეძლევათ შესცემალონ აღნუსხვის თრგანიზაციის წესი.

3. ვალდებულია აღინუსხოს ა/ქსფსრ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ყველა მოქალაქე (მაბაკაცი და ქალი) და აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში მცხოვრები, თავის მუდმივ საცხოვრებელ აღგილას ჯერ კიდევ არ აღნუ-სხული და ა/ქსფსრ ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქე:

ა) ვისაც სსრ კავშირში, ყოფ. რუსეთის იმპერიაში ან საზღვარგარედ დაუმიავრებია უმაღლესი სატეხნიკო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, სა-ტყეო, სამიჯვნო საქმის, საეკონომიკო და სამრეწველო-საეკონომიკ სასწავ-ლებრელი ან და სხვა უმაღლესი სასწავლებლის ანალოგიური ფაქულტეტი თუ განყოფილება, მათ რიცხვში ეკონომიკური ფაქულტეტი და განყოფილება;

ბ) ვისაც სსრ კავშირში, ყოფ. რუსეთის იმპერიაში ან საზღვარგარედ დაუმთავრებია იურიდიული ფაქულტეტი, საზოგადოებრივ შეცნიერებათა ფაქულ-ტეტი, საბჭოთა სამართლის ფაქულტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებელი, უკე-თუ ამ მოქალაქეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აღნუსხვაზე მიღების დღემდე უმუშავნია ეკონომისტად არა ნაკლებ ერთი წლისა;

გ) ვისაც სსრ კავშირში, ყოფ. რუსეთის იმპერიაში ან საზღვარგარედ დაუმთავრებია უნივერსიტეტის ფიზიო-მათემატიკური ფაქულტეტი;

დ) ვისაც სსრ კავშირში, ყოფ. რუსეთის იმპერიაში ან საზღვარგარედ დაუმთავრებია საშუალო სატეხნიკო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, სა-ტყეო, სამიჯვნო საქმის, საეკონომიკო თანამდებობის სასწავლებელი და ტეხნიკუმი;

ე) ვისაც არ დაუმთავრებია უმაღლესი თუ საშუალო სატეხნიკო ან სასო-ფლო-სამეურნეო განათლება (ვისაც გავლილი აქვს სამი კურსი მაინც), მათ რიცხვში ისინი, რომელიც სწავლობდნენ საზღვარგარედ, ხოლო სათანადო კურ-სი არ დაუმთავრებიათ, უკეთუ ამ პირთ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აღნუსხვაზე მიღების დღემდე ერთი წელიწადი მაინც უმუშავნიათ საშუალო ან უმაღლესი პერსონალის საინჟინერო-სატეხნიკო თანამდებობაზე ან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საშუალო თუ უმაღლესი პერსონალის თანამდებობაზე;

ვ) ვისაც დაუმთავრებია დაბალი სატეხნიკო და სასოფლო-სამეურნეო სა-სწავლებელი ან სპეციალისტი კურსები და აგრეთვე ვისაც საშუალო და უმაღ-ლეს სასწავლებელში დაუმთავრებია სამ კურსზე ნაკლები, უკეთუ მათ უკანას-კნელი სამი წლის განმავლობაში აღნუსხვაზე მიღების დღემდე ერთი წელიწადი მაინც უმუშავნიათ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების სპეციალისტების საშუალო ან უმაღ-ლესი პერსონალის საინჟინერო-სატეხნიკო თანამდებობაზე და იმედამად უკეთავთ საშუალო ან უმაღლესი სატეხნიკო თუ სასოფლო-სამეურნეო პერსონალის სათა-ნადო თანამდებობა;

ზ) სპეციალისტი-პრაქტიკოსი (რომელსაც არა აქვს რაიმე სატეხნიკო თუ სასოფლო-სამეურნეო განათლება), უკეთუ მას უკანასკნელი ხუთი წლის განმავ-

ლობაში აღნუსხვაზე მიღების დღის წინ ორი წელიშადი მაინც უმუშავნია საშუალო თუ უმაღლესი პერსონალის საინჟინერო-სატექნიკო თანამდებობაზე ან სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საშუალო თუ უმაღლესი პერსონალის თანამდებობაზე და ამგად უჭირავს საშუალო თუ უმაღლესი სატექნიკო ან სასოფლო-სამეურნეო პერსონალის სათანადო თანამდებობა;

(თ) სამეცნიერო დარგის მომუშავე ცოდნის ყველა სფეროში, რომელიც იმყოფება რსესარს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მეცნიერთა ყოფილობის გამაუმჯობესებელი ცენტრალური კომისიისა, სრულიად უკრაინის მეცნიერთა დამხმარე კომიტეტისა და სხვა მოქაეშირე რესპუბლიკების განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის რესპუბლიკანური შენაერთის სამეცნიერო დარგის მომუშავეთა სეკციის აღნუსხვაზე, და აგრეთვე სამეცნიერო-საკელევო ინსტიტუტისა და საცდელ-საჩეკნებელი სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო მომუშავე, ასპირანტების ჩათვლით;

(ი) პროფესიონალი და მასწავლებელი სატეხნიკო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, სააგრონომიო, სატექნიკო, სამიჯნინ საქმის, სავეტერინარო და საგეოდეზიო უმაღლესი და საშუალო სასწავლებლისა და აგრეთვე პროფესიონალი და მასწავლებელი ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებლისა;

(კ) ის პირი, ვისაც უჭირავს სატექნიკო თანამდებობა მრეწველობასა და ტრანსპორტში (როდესაც შრომის სასყიდელი ეძღვევა საინჟინერო-სატექნიკო პერსონალის ქსელით, აგრეთვე) ვისაც უჭირავს საეკონომიკო თანამდებობა საწარმოში, ხოლო ზემომანიშვნელ მოთხოვნებს არ შეეფერება.

4. ამა დადგენილების წესით აღნუსხვაზე მიღება არ გაანთავისუფლებს სამხედროფალდებულ პირს იმ ვალდებულებისაგან, რასაც მას აკისრებს სამხედრო და საზოვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო სახელმძღვანელო, არა მარტო ომის დროს, არამედ შევიდობიანობის დროსაც, როგორიც არის: აღნუსხვა, გარდამშადებისათვის გაწვევე, არმიაში გაწვევა მობილიზაციით და სხვ.

შენიშვნა. ამ წესის განთვალისწინების შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სამხედრო და საზოვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

5. აღნუსხვაზე მიღებისაგან განთავისუფლება:

(ა) სსრ კავშირის მოქალაქე, რომელიც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილსა, შტაბსა, სამმართველოს, დაწესებულებასა და საწარმოში ნამდვილ სამხედრო სამსახურშია და აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა შედგენილობის ჩეზერვში; სპეციალისტი, რომელიც ნებაყოფლობითი დაჭირავებით მსახურობს სამხედრო უწყების დაწესებულებასა და საწარმოში, აღნუსხულ უნდა იქნეს საერთო საფუძველზე;

(ბ) სსრ კავშირის მოქალაქე, უკეთუ არსებული წესით ცნობილ იქნება, რომ მას დაკარგული აქვს შრომის უნარი ორმოცდაათი და მეტი პროცენტი;

(გ) სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო სახელმწიფოს მოქალაქე.

6. ძირითადი მიღება აღნუსხვაზე იწარმოებს 1930 წლის თებერვლის 15-დან აპრილის 1-მდე იმ ვადებზე, რასაც განსაზღვრავენ ა/ქსურ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების ორგანოები.

7. ის პირნი, რომელიც უკვე იმყოფებიან აღნუსხვაზე სსრ კავშირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მაისის 23-ის დადგენილებისა (სსრ კავშირის კან. კრ. 1928 წ. 31 №-ი, მუხ. 275), სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წლის ივლისის 25-ის თარიღისა და 426 №-ის დადგენილებისა („სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის იზევსტია“ 1928 წ. № 34-35) და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წლის ნოემბრის 8 თარიღისა და 130 №-ის დადგენილების თანახმად,—გატარებულ უნდა იქნენ რეგისტრაციაში მოთლად აღნუსხვის წარმოებასთან ერთად.

გაცემული სააღნუსხვო-სატეხნიკო ბილეთი, უკეთუ მასში აღნიშნული არ არის ხელახალი რეგისტრაცია, ბათილად ჩითავლება.

8. რაღაც აღნუსხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ა/კსფსრ შედეგების შემავალი რეპეტიციების შრომის სახალხო კომისარიატები და სპეციალისტების პერსონალური ოღნუსხვის გამტარებელი ორგანოები გამოპყოფენ ამ მიზნით განსაკუთრებულ რწმუნებულთ, რომელნიც პასუხისმგებელნი იქნებიან აღნუსხვის თავის ღროვაზე და სრულად ჩატარებისათვის.

რწმუნებულთა გვარი ეცნობება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს.

9. აღნუსხვის წესების დარღვევა იდევნება მომქმედი კანონმდებლობის თანახმად.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარის მოაღილე შახსუფარიანი.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს მე-40 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 15-ს.

დადგინდებულია ამინისტრაციასის ცენტრალური აღმასრულებელი კონსილიუმისა, მიღებული მე-5 მოწვევის მე-2 სესიაზე.

33. ა/კსფსრ-ში 1929-30 წ. მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესახებ.

მოისმინა-რა ამხ. შ. ელიავას მოხსენება ა/კსფსრ-ში 1929-30 წ. მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს:

რევოლუციის შინ წლებში ამიერკავკასიის მრეწველობა, ნავთისა და მარგანეცის გარდა, თითქმის არ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის უდიდესი ბუნებრივი სიმღიდეები მოვალეობა.

კოლონიალური ქვეყნის არსებობის პირობებში ამიერკავკასიამ განიცადა მარტოოდენ მტაცებლური ექსპლოატაცია (ნავთი, სილენძი, მარგანეცი), როგორც კოლონიალურმა სანედლულო ბაზისმა მეტროპოლიის კაპიტალიზმისათვის; ამიერკავკასიას უკურებდენ როგორც განპირა ქვეყანას, რომელიც საკუთარ მრეწველობას სამუდამოდ მოკლებული უნდა ყოფილიყო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა/ქსტსრ-ს ედლევა ფართო შესაძლებლობა სამრეწველო განვითარებისა და თავისი სახალხო მეურნეობის საწარმოო ძალების საერთო აღორძინების.

ა/ქსტსრ წარმოადგენს ელექტროფიკაცია, ირიგაცია და ტრანსპორტი, რომელთა განვითარებას ც უდიდესი ყურადღება ექცევა, როგორც მრეწველობის ბაზისა და როგორც საშუალებას მძღვანელებ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის დამყარებისათვის.

1928-29 წელი ამიერკავკასიისათვის იყო წელი მთელი სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი ზრდისა სოციალისტური და ტენიური რეკონისტრუქციის საუფელზე. ამ წელიდას ახასიათებს მრეწველობის განვითარების მეტად სწრაფი ტები, მისი მატერიალური ბაზისის გაფართოება, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონისტრუქცია და, საერთოდ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების თვალსიჩინო ტები.

ამასთან ერთოდ, 1928-29 წლის გეგმის აღსრულების პროცესში გამოაშკარავდა მთელი რიგი დეფექტები, რომელთა შორისაც უნდა აღინიშნოს ის, რომ საგსებით ვერ შესრულდა მშენებლობის გეგმა და მრეწველობის გეგმა პროდუქციის ხაზით, რომ ამიერკავკასიი ჩამორჩა საგეგმო ვარაუდს თვითონირებულების შემცირებისა, მშენებლობის ლირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების სფეროში.

განსაკუთრებული ჩამორჩენა გვაქვს მშენებლობის დარგში, სადაც გეგმის შესარულებლობასთან ერთოდ აღსანიშნავია სერიოზული საორგანიზაციო ხასიათის დეფექტები, კერძოდ: ტენიური პერსონალისა და კვალიფიციური მუშა-ძალის სიმცირე, მუშა-ძალის სათანადო რეგულირების უქონლობა, მშენებლობის ხელმძღვანელობის დაქასებულობა, სიძნელები საშენი მასალის მხრით, გაწყობილობის დაგვიანებით მიღება, კრედიტების დაგვიანებით გახსნა, გეგმებისა და პროექტების დამტკიცების დაგვიანება, მათი არა თავის დროზე შედგნა, მშენებელორგანიზაციათა საბრუნავი სახსარის ნაკლებობა, მშენებლობის ტენიგის დაბალი დონე, სარაციონალიზაციო ლონისძიებებისა, მექანიზაციისა და სტანდარტიზაციის უქონლობა, რის გამოც სათანადო ვერ იქნა გამოყენებული საშენებლო მუშაობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი კვარტალი; ამ გარემოებამ კი გაადიდა ყველა სიძნელე მე-3 და მე-4 კვარტალში.

1929-30 წლის გეგმა სახალხო მეურნეობის ყველა უმთავრესი ხაზით ითვალისწინებს გაცილებით უფრო სწრაფ ტებებს, კიდრე ეს ნაგარულდევი იყო ხელწლიანი გეგმით. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა მთელ რიგ დარგებში საერთოდ გადამეტებით სრულდება. მაგრამ პირველ კვარტალში თავს იჩენს წარსული საოპერაციო წლის დეფექტები, კერძოდ ერთგვარი ჩამორჩენა საერთო პროდუქციის ზრდისა, 1 მუშის მიერ გამომუშავებული ნორმისა, და აგრეთვე ექსპორტის გეგმის შესრულებისა. თვალსაჩინო ჩამორჩენა გვაქვს მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაშიც.

აღნიშნავს რა ამას, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხედველობაში იღებს სახალხო-სამეურნეო გეგმის სავსებით განხორციე-

ლებისა და მნიშვნელოვან დარგებში მისი ოლიტერაციის გაძლიერების აუცილებლობას, და ადგენს:

1. დასახულ იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სამეურნეო ორგანოების წინაშე ამოცანა—უმოქლეს ვადაზე უზრუნველყონ ღრმული, სრული და სათანადოდ დაყენებული ანგარიშების ორგანიზაცია, კერძოდ, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკარგელი ბრიგადების მუშაობის შედეგების ზედმიშვნით აღნუსხა.

2. დასახულ იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სამეურნეო ორგანოების წინაშე ამოცანა—მოახდინონ საჭირო გარდატეხა ჩამორჩენილ დარგებში, რათა მე-2 კვარტალში გადამეტებით იქნეს აღსრულებული გეგმის ის ნაწილი, რაც 1-ლ კვარტალში ვერ შესრულდა.

საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მუშათა ფართო მასშებმა აქტიური მონაშილეობა მიიღონ გეგმის აღსრულების კონტროლის საქმეში.

3. მიღწეულ იქნეს სამეურნეო ორგანოთა და საწარმოთა ხელმძღვანელების ნამდვილი ბასუხისმგებლობა უშიშროების ტეხნიკისა და შრომის დაცვის ონისძებათა განხორციელებისათვის შემუშავებული გეგმების შესაბამისად და ავრეთვე ამ საქმეზე გადადებული სახსრის სწორ და სრული მოხმარებისათვის.

4. მიღწეულ იქნეს სასწარაფო შესრულება სახალხო მეურნეობის მოხხოვნილებისა მუშა-ძალისადმი რისთვისაც დავევალოს ა/ქსტსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ა/ქსტსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გამოარკვიონ მუშა-ძალის აუცილებელი მოთხოვნილება ყველა სახის მრეწველობისათვის და უმოქლეს ვადაზე შეიმუშაონ კადრების მომზადების ზედმიშვნითი გეგმა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმმა უნდა განიხილოს მშენებელთა კადრების შექმნის გეგმა, უნდა უზრუნველყონ ამ გეგმის ერთიანობა ა/ქსტსრ-ში და თანაც გათვალისწინოს ყველა ხარისხის კვალიფიკაციის (დაბალი, საშუალო, უმაღლესი) მშენებელ მომუშავეთა მომზადება.

5. განმტკიცებულ იქნეს, გეგმისანბა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კერძოდ, გაძლიერებულ იქნეს ოპერატორული დაგეგმვა.

6. მიღწეულ იქნეს პროდუქციის თვითონირებულების შემცირებისა, შემნებლობის თვითონირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების სფეროში დადგენილი ნორმების ზედმიშვნით შესრულება და განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, რაც შესაძლებლად გახდის ამ მაჩენებლების გადამეტებით აღსრულებას.

7. განხორციელებულ იქნეს მთელი რიგი ლონისძიებანი შემნებლობის რეგულირების სფეროში; უმთავრეს ლონისძიებებად ჩაითვალოს შედეგი:

ა) შეენებლობის მთელი სტრემის რეორგანიზაცია, რასთვისაც რაც შეიძლება ჩეარა უნდა მოწყოს ამიერკავკასიის სამშენებლო შენაერთი და გადაკეთდეს რესპუბლიკური სამშენებლო შენაერთები—სამშენებლო საქმის ცენტრალიზაციის განხორციელებით ორი თვის ვადაზე;

ბ) ყველა მშენებელი ტეხნიკური კადრის მობილიზაცია ა/ქსტსრ-ში;

გ) მშენებელი ორგანიზაციების უზრუნველყოფა საჭირო საბრუნავი სახსარით და მათი შეუფერხებელი დაფინანსება;

დ) მშენებლობის ყველა ობიექტის თავის ღრუზე უზრუნველყოფა დამტკიცებული პროექტებით;

ე) მშენებლობის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის საშენი მასალით, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს საშენი მასალის წარმოება როგორც იმ საწარმოში, რომელიც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უშუალო გამგებლობაშია, ისე აუგილდბრივ მრეწველობასა და შინა-მრეწველობაში;

ვ) საშენი მასალის მიწოდებისა და მშენებელი მუშებით უზრუნველყოფის რეგულირების გაძლიერება, სამშენებლო შრომის ბაზარზე ზეფასების ერთიანი სისტემის დამყარება და აუკირტაჟის თავიდან აცდენა, პროექტების შედგენის ვადების შემცირებისა და მშენებლობის გაიაფების აუცილებლობა; სასწავლოდ დამთავრდეს მიმდინარე სამპერაციო წლის მშენებლობის პროექტები; წინადადება მეცეს ყველა ორგანიზაციის ხელავე უზრუნველყოფის 1930-31 წლის მშენებლობის პროექტების დამზადება, გამოიყოს ამისათვის სათანადო სახსარი და შესდგეს კლენდარული გეგმები იმ ანგარიშით, რომ პროექტების ესკაზები დამთავრებულ იქნეს 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის დასაწყისისათვის;

ზ) წინადადება მიეცეს მშენებელ ირგანიზაციებს შეიმუშონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მომავალი სამშენებლო სეზონისათვის განხორციელებულ იქნეს დირექტივი მშენებლობის გაიაფებისა, განუწყვეტელ სამშენებლო წელი-წადხე და განუწყვეტელ კვირაზე გადასვლისა და მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის შესახებ (მშენებლობის მექანიზაცია, სტანდარტიზაცია, ტიპიზაცია);

თ) ხმარებულ იქნეს გადამწყვეტი ლონისძიებანი, რათა აუცილებლად განხორციელდეს საშენი მასალის წარმოების საკონტროლო ციფრები და შემცირდეს ადგილობრივ დამზადებული საშენი მასალის ღირებულება; კერძოდ, პირველ რიგში გაძლიერებულ იქნეს დახერხილი საშენი ხე-ტყის წარმოება ა/კსტსრ-ის ყველა რესპუბლიკაში, რისთვისაც დაჩქარდეს ხე-ტყის გამოსაზიდი გზების გაყვანა; ამავე ღრუს უზრუნველყოფილ იქნეს შემოსატანი საშენი მასალის თავის ღრუზე შემზიდვა;

ი) რადგანაც, მეორეს მხრით, საჭიროა უდიდესი ეკონომიკა დეფიციტიანი მასალის მოხმარებაში, დაევალოს მიერკავებასის ყველა უწყებას და ორგანიზაციის: მტკიცედ დაიცვან ცენტრალური ორგანოების მიერ დაწესებული შემსუბუქებული ნორმები, შესულებონ დეფიციტიანი მასალის (განსაკუთრებით ლითონი, ცემენტი) მოხმარება მხოლოდ აუცილებელი ფარგლებით, მაქსიმალურად განახორციელონ დეფიციტიანი მასალის შეცვლა არადეფიციტიანი ადგილობრივი მასალით, აღკვეთონ აუცილებლად საჭირო რაოდენობაზე ზედმეტი მასალის (განსაკუთრებით დეფიციტიანი მასალის) მარაგის დაგროვება მშენებელი ორგანიზაციების საწყობებში და სამშენებლო სამუშაოებზე და აქრძალონ გადაწარბებულ განცხადებათ შედგენის; მუშობა მასალის ხარჯების შემცირებისათვის უნდა მიმღინარებოდეს „დანაკარგთან ბრძოლის“ ნიშნის ქვეშ და ამ მუშაობაში ჩამდებულ უნდა იქნეს პროფესიონალური ორგანოები, საწარმოო თათბირები და საინენერინატენიკო ძალები;

კ) საჭირო იქნეს ცნობილი, რათა სასწავლოდ მოწყვის რესპუბლიკებს შორის მშენებლობის გამოცდილების რეგულირაული გაცვლა-გამოცვლა და რათა

ა/ქსფსრ-ში მასისურად იქნეს გამოტანილი სსრ კავშირის საკუთხესო სამშენებლო სამუშაოთა გამოცდილება;

ლ) სახალხო მეურნეობის ცველა დარგის ზრდისა, მრავალობაში ახალ მშენებლობის გაძლიერებისა და კოლექტიური მეურნეობებისა და საბოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარების პირობებში საკითხი სამუშენებლობის შესახებ უაღრესი მნიშვნელობის საკითხად იქცევა; ამის გამო საცემით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ მიზნისათვის დაფინანსების ყოველგვარი წყაროდან გაცემული ცველა რეადიტების გამოყენება თავისი დანიშნულებისამებრ;

მ) საჭირო გადატყვევეტი ლონისძიებანი, რათა დამუშავებულ იქნეს ძირითადი დავალებანი სამუშენებლობის სატიპო პროექტებისა, ცალკე რაიონების თავისებურობათა გათვალისწინებით, და აგრეთვე დავალებანი დროებითი ტიპის ნაგებობათა სფეროში და სხვა სახის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის (საავადმყოფო, სკოლა და სხვ). სატიპო პროექტების დავალებანი ისე, რომ პროექტების ეს დამუშავება დაუყოვნებლივ იწყონ სათანადო დაწესებულებებმა; საერთოდ მიღწეულ უნდა იქნეს მუშათა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის სულობრივი ნორმის გადიდება.

8. განზრაბულ კაპიტალურ დაბანდებათა ოლსრულება მოითხოვს ცველა ქონებული რესურსებს უფრო მეტად გამოყენებას, იმ დანაკარგის მინიმუმმდე შემცირებას, რაც შემჩერულია სახალხო მეურნეობის ცველა დარგში, და აგრეთვე ამიერკავკასიის საექსპორტო შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას, რაზედაც დამოკიდებულია კაპიტალური მშენებლობის გეგმის იმ ნაწილის აღსრულება, რომელიც იმპორტით უზრუნველყოფას შეეხება. მშრომელთა ფართო მასსებისა, სამუშაოებისა და საგეგმის ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მთლიანობისა და საექსპორტო გეგმის გადამეტებით ოლსრულებისათვის.

9. განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა, რაც ახალი რესურსისა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერებისათვის, დამთავრებულ უნდა იქნეს მიმდინარე წელს, იმ საწარმოთა გარდა, რომელიც განიცდიან ნედლეულისა და მომზადებული მუშა-ძალის ნაკლებობას. ამსთან ერთად გაძლიერებულ უნდა იქნეს საწარმოთა შეიღსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის ტემპი, რაც ხელს შეუწყობს ზრომის ნაყოფიერების ზრდას და გააღიდებს მუშათა მასის კულტურული წინასელის შესაძლებლობას.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. იანვრის 26.

გამოცვენებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 35 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 10-ს.